გადაწყვეტილება

N გ-24-19/562
05/12/2024

562-გ-24-1-4-202412051700

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 27 ივნისის № გ-24-7/280 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

განმცხადებელი: ინდ. მეწარმე ალი აბუზაროვი
კომისიის სხდომის თარიღი: 05.12.2024

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ ინდ. მეწარმე ალი აბუზაროვმა (რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 30 იანვარს, ს.კ. № 36001008322) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-24-9/5003, 25.11.24) და მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 27 ივნისის № გ-24-7/280 გადაწყვეტილებით მინიჭებული სიხშირის - **150.550 მჰც** (ზოლის სიგანით 25 კჰც) **ქ. თბილისში და ქვემო ქართლში**, № **F 3103** რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების გაუქმება.

II. სამოტივაციო ნაწილი

2. კომისია აღნიშნავს, რომ ინდ. მეწარმე ალი აბუზაროვი ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლებას № F **3103** შემდეგი პირობებით: სიხშირე - **150.550 მჰც** (ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. თბილისში და ქვემო ქართლში, ერთი წლის ვადით - 2024 წლის 29 ივნისიდან 2025 წლის 29 ივნისამდე, ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, 2024 წლის 27 ივნისის № გ-24-7/280 გადაწყვეტილებით.

3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირის მოთხოვნა.

III. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N 1 დადგენილებით დამტკიცებული

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გაუქმდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F **3103** უფლება და ძალადაკარგულად გამოცხადდეს ინდ. მეწარმე ალი აბუზაროვისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ კომისიის 2024 წლის 27 ივნისის № გ-24-7/280 გადაწყვეტილება;

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების ინდ. მეწარმე ალი აბუზაროვისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

4. დაევალოს აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი) ინფორმაციის კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) ინდ. მეწარმე ალი აბუზაროვისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი